



## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის ივნისში რეალური მშპ 7.7%-ით გაიზარდა, წინა თვის 7.0%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.6%-ით გაიზარდა. ივნისში ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, ვაჭრობის და საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის დარგებში. ამასთან, რეალური ზრდა შემცირდა ტრანსპორტის და კომუნალური მომსახურების დარგებში. ჩვენი პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით გაიზრდება 2023 წელს (იხილეთ **შეტი**).

**ინფლაცია:** 2023 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 0.3%-მდე შენედა, წინა თვის 0.6%-იანი დონიდან. აღნიშნული შემცირება ძირითადად იმპორტირებული (-7.4% წ/წ) და შერეული საქონლის (-4.5% წ/წ) ინფლაციის კლებამ განაპირობა. ამასთან, ადგილობრივი ინფლაციის ზრდის ტემპი განაგრძობს შენელებას (+7.2% წ/წ ივლისში, ხოლო +8.5% წ/წ ივნისში). რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს, მშნიშვნელოვნად, 3.1%-მდე შენედა (-0.9პპ თ/თ) ივლისში. 2023 წლის ივლისში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: ტრანსპორტი (-12.1% თ/თ, -1.53პპ), ჯანდაცვა (-6.9% თ/თ, -0.67პპ), საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი (+4.9%, 0.51პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+6.3%, 0.43პპ) და სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+1.2%, 0.39პპ). ამასთან, 2023 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ფასების უმნიშვნელო ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

დისინფლაციის მიმდინარე ტრენდიდან გამომდინარე, 2023 წლის საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზი 2.4%-მდე შევამცირეთ, წინა 3.1%-დან.


**მონეტარული პოლიტიკა:** საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 2 აგვისტოს რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით 10.25%-მდე შეამცირა, რომელიც მეორე შემცირებაა მიმდინარე წელს. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო წლიური ინფლაციის სწრაფი შემცირებით, რაზეც სებ-ის მიხედვით, გავლენა აქვს გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, და ლარის გამყარებას. სებ-ის განახლებული პროგნოზით, 2023 წლის შემდგომ თვეებში ინფლაცია მიზნობრივ 3.0%-ის ქვემოთ იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მის ირგვლივ დასტაბილურდება. გარდა ამისა, სებ-მა 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6.0%-მდე გაზარდა წინა 5.0%-დან. რეგულატორი სიგნალს იძლევა, რომ გააგრძელებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნელი ტემპით შემცირებას ინფლაციური რისკების გათვალისწინებით. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2023 წლის 13 სექტემბერს ჩატარდება.

### ეკონომიკური ინდიკატორები

	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,997	20,244
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,672
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	4.0%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.7%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაგარტი  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

### ინფლაცია და რეფინანსირების განაკვეთი



წყარო: საქსტატი, სებ



# ფულადი ბაზარი

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 1 აგვისტოს 2-წლიანი 40 მლნ ლარის (15.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.6-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.138პპ-ით შემცირდა და 8.405% შეადგინა.

ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 1 აგვისტოს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (7.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.079პპ-ით გაიზარდა და 9.573% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 8 აგვისტოს, სადაც 1-წლიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 10-წლიანი 25 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

## სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	160	80	420
1-წელი	140	100	
2-წელი	341	160	
5-წელი	681	450	7,021
10-წელი	445	575	
<b>სულ</b>	<b>1,767</b>	<b>1,365</b>	<b>7,441</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2023 წლის ივნისის მდგომარეობით

## სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

## განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

## მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

## ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 99.51 (+0.03% წინა კვირასთან შედარებით), 6.98%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 86.91 ფასად (+0.19% წინა კვირასთან შედარებით), 7.24%-იანი შემოსავლიანობით.

**საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG)** დაიხურა ფასით 90.48 (-0.03% წინა კვირასთან შედარებით), 6.65%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

#### ვერობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody საშუალო ფასი /Scope)	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB-/BB-/Ba2	90.48	222.98
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB-/	86.91	322.49
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/	99.20	667.29
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	99.51	149.55
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	98.34	467.96
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	99.16	135.38
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/	97.18	822.89

წყარო: Bloomberg



## ობლიგაციები

### ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-27	-/-/-/-	n/a	n/a	n/a
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-25	-/-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-24	-/-/-/BB	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	Ref rate + 4.00%	Dec-23	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-/-	99.98	8.50	n/a
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-/-	99.99	7.00	n/a
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-25	-/-/-/-	100.00	9.00	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-/-	100.06	6.63	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-/-	99.75	8.65	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-24	-/-/-/B+	99.65	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-/B+	100.00	8.50	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Feb-25	B-/-/-/-	n/a	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-24	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-26	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-25	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-24	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
SRG Real Estate	USD	20	9.00%	Apr-26	-/-/-/-	100.01	9.00	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-26	BB/-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-26	BB/-/-/-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-25	-/-/-/BB-	99.58	8.75	n/a
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-25	-/-/-/BB-	99.58	7.25	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.5%	Aug-28	-/BB/-/-	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



## აქციები


### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

**საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN)** აქციები დაიხურა 31.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.18% წინა კვირასთან შედარებით და +12.95% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 175 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 30.70 - 32.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 48 ათასი აქცია შეადგინა.


### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)** აქციები დაიხურა 25.15 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.00% წინა კვირასთან შედარებით და +7.48% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 69 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 24.10 - 25.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 24 ათასი აქცია შეადგინა.

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

**Georgia Capital-ის (CGEO LN)** აქციები დაიხურა 9.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.76% წინა კვირასთან შედარებით და +8.64% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 53 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.10 - 9.34 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 20 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	31.40	1,442	14.2%	88.9%	20.5%	2.74x	4.40x	4.11x	0.90x	0.89x	0.77x
TBC	TBC	GBP	25.15	1,387	1.2%	69.5%	10.8%	4.10x	4.50x	3.94x	1.04x	1.01x	0.86x
Halyk Bank	HSBK	USD	14.46	3,943	25.7%	49.1%	30.3%	2.69x	2.81x	2.51x	0.78x	0.76x	0.64x
Akbank	AKBNK	TRY	28.30	147,160	71.4%	210.6%	44.8%	1.40x	2.82x	2.99x	0.55x	0.75x	0.67x
Garanti	GARAN	TRY	47.00	197,400	99.3%	209.2%	56.5%	1.91x	3.26x	3.66x	0.73x	1.05x	0.87x
Isbank	ISCTR	TRY	16.06	160,600	51.9%	165.9%	25.8%	0.84x	3.14x	2.84x	0.60x	0.74x	0.60x
PKO	PKO	PLN	40.34	50,425	23.3%	68.4%	33.2%	10.98x	8.27x	7.69x	1.03x	1.18x	1.10x
PEKAO	PEO	PLN	117.35	30,801	25.6%	67.6%	35.7%	na	6.03x	6.85x	na	1.11x	1.05x
Millennium	MIL	PLN	6.27	7,606	23.4%	68.3%	36.9%	na	2.43x	3.20x	1.04x	1.16x	1.00x
Mbank	MBK	PLN	467.00	19,831	45.9%	116.2%	57.8%	na	4.14x	5.81x	1.10x	1.27x	1.11x
BRD	BRD	RON	14.38	10,021	2.9%	6.8%	10.6%	6.81x	6.76x	7.37x	1.31x	1.29x	1.23x
Banca Transilvania	TLV	RON	20.88	16,676	17.9%	13.0%	18.3%	na	7.12x	6.82x	1.60x	1.46x	1.31x
Komercni	KOMB	CZK	713.00	135,505	-4.1%	16.1%	8.9%	8.36x	8.53x	8.93x	1.21x	1.00x	1.00x
<b>Mean</b>								<b>4.42x</b>	<b>4.94x</b>	<b>5.13x</b>	<b>0.99x</b>	<b>1.05x</b>	<b>0.94x</b>
<b>Median</b>								<b>2.74x</b>	<b>4.40x</b>	<b>4.11x</b>	<b>1.04x</b>	<b>1.05x</b>	<b>1.00x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Georgia Capital	CGEO	GBP	9.18	402	21.3%	40.2%	25.8%	na	na	na	0.38x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.25	445	-2.5%	-7.5%	-2.0%	18.33x	na	na	0.99x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	57.05	116,405	41.4%	164.1%	26.6%	1.77x	3.43x	2.93x	0.77x	0.67x	0.56x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	30.80	579	4.2%	8.1%	10.4%	na	5.38x	5.47x	1.00x	0.87x	0.77x
Eurazeo	RF	EUR	54.45	4,314	-16.4%	-18.7%	-6.3%	8.89x	10.81x	7.33x	0.78x	0.55x	0.50x
Carlyle Group	CG	USD	32.15	11,640	-14.1%	-16.2%	7.7%	8.50x	10.63x	7.91x	1.70x	3.29x	2.22x
Wendel SE	MF	EUR	87.95	3,906	-12.0%	-0.7%	0.9%	6.63x	7.16x	7.06x	na	1.21x	1.09x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.89	1,778	3.1%	4.4%	10.8%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.70	685	0.0%	1.0%	-1.9%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.47	794	-2.2%	10.1%	6.6%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	10.30	712	9.6%	-5.5%	22.0%	na	na	na	0.65x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.40	203	-10.0%	-14.9%	-11.8%	na	na	na	0.47x	na	na
<b>Mean</b>								<b>8.82x</b>	<b>7.48x</b>	<b>6.14x</b>	<b>0.84x</b>	<b>1.31x</b>	<b>1.03x</b>
<b>Median</b>								<b>8.50x</b>	<b>7.16x</b>	<b>7.06x</b>	<b>0.78x</b>	<b>0.87x</b>	<b>0.77x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუქმველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, ირრდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერნაირად სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტიციებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ან დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლო მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** researcht@gt.ge